ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი დ. ტ. /სიით №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.04.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №027/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. ბ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 03 აპრილს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა დ. ტ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2017 წლის 11 ივლისს საჩივრის ავტორმა საპროცესო სხდომაზე დამატებით განმარტა თავისი პოზიცია.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის თებერვალში, თავისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, იმყოფებოდა ქალაქ ქუთაისში, სადაც მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელთან ადვოკატ ს. ბ.-თან დათქვა შეხვედრა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით. 2017 წლის 12 ივნისს ადვოკატმა დ. ტ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება და განმარტა, რომ იგი წარმოადგენდა ვ. ჩ.-ის ინტერესებს საოჯახო დავასთან დაკავშირებით. ადვოკატ ს. ბ.-თან შეხვედრამდე ადვოკატმა დ. ტ.-მ დააზუსტა, რომ ს. ბ.-ი ნამდვილად იყო მისი კლიენტის მეუღლის ადვოკატი და ორი წლის მანძილზე უწევდა მას საადვოკატო მომსახურებას კონსულტაციების სახით.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი წარმოადგენდა ვ. ჩ.-ის ინტერესებს საოჯახო დავაზე. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი 2017 წლის თებერვალში ჩავიდა ქალაქ ქუთაისში მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელთან ადვოკატ ს. ბ.-თან შესახვედრად. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქმის გარემოებებზე ინფორმაციის ურთიერთგაცვლა. ადვოკატ ს. ბ.-თან შეხვედრამდე ადვოკატმა დ. ტ.-მ დააზუსტა, რომ ს. ბ.-ი ნამდვილად იყო მისი კლიენტის ვ. ჩ.-ის მოწინააღმდეგე მხარის, ჩიქოვანის მეუღლის ადვოკატი და ორი წლის მანძილზე უწევდა მას საადვოკატო მომსახურებას კონსულტაციების სახით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. ბ.-ი მასთან საუბრის დასაწყისშივე მტრულად და აგრესიულად იყო განწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ ამის არანაირი საბაბი არ ჰქონია, ადვოკატმა ს. ბ.-მა აგრესიული და ხმამაღალი ტონით საუბრის განმავლობაში რამდენჯერმე მიაყენა ადვოკატ დ. ტ.-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ: ორზე მეტჯერ უწოდა მას "არაკომპეტენტური", სამზე მეტჯერ სიტყვა "ავადმყოფი" უწოდა; ასევე ეუბნებოდა, რომ მას ქართული არ ესმის, ქართული არ იცის და მეგრულად ლაპარაკობს. ადვოკატ ს. ბ.-ის საუბრის ტონი იყო მუდმივად აგრესიული, დაძაბული და არასაქმიანი. ადვოკატმა დ. ტ.-მ როდესაც ადვოკატ ს. ბ.-ს განუმარტა, რომ მის კლიენტს მოპარული ჰქონდა მეუღლის სახლიდან ოქროულობა, ამის გაგონებაზე ადვოკატმა ს. ბ.-მა ხმამაღალი საუბარი დაუწყო დ. ტ.-ს კლიენტს და უთხრა, რომ მისი ადვოკატი არაკომპეტენტური იყო, რადგან სამოქალაქო სამართლის დავას ეხებოდა საქმე და არა სისხლის სამართლის დავას.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ს. ბ.-მა არ დაურეკა თავის კლიენტს ინფორმაციის მიწოდების მიზნით და ამიტომ დ. ტ.-მ თავად დაურეკა თავისი კლიენტის მეუღლეს, რომელიც დათანხმდა შეხვედრაზე და მოითხოვა, რომ ამის თაობაზე სცოდნოდა ს. ბ.-საც. საჩივრის ავტორმა სატელეფონოს საუბრის შესახებ უთხრა ადვოკატ ს. ბ.-ს, რის შემდეგაც იგი საუბარში უფრო "მოლბა". შემდეგ ადვოკატმა ს. ბ. თავის კლიენტს დაურეკა და ბავშვების წამოყვანაში დაეხმარა ადვოკატ დ. ტ.-ს და მის კლიენტს.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ს. ბ.-თან შეხვედრიდან ერთ თვეში მისი კლიენტის მიმართ შევიდა განცხადება შემაკავებელი ორდერის გაცემის შესახებ. სასამართლო პროცესიდან გამოსვლისას ადვოკატმა ს. ბ.-მა ადვოკატ დ. ტ.-ს კლიენტს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა: "შე ავადმყოფო, ხომ გამოგიტანეს შემაკავებელი ორდერი!".

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, საადვოკატო პროფესიაში მოღვაწე პირებს უნდა ჰქონდეთ ურთიერთპატივისცემა განურჩევლად რეგიონული დაყოფისა. ადვოკატთა ასოციაციის წევრების ღირსების დაცვა პროფესიის საერთო ღირსების საქმეა.

2. მოწმე ვ. ჩ.-ის პოზიცია:

2.1 მოწმე ვ. ჩ.-ის წერილობითი განმარტების თანახმად, იგი ადასტურებს, რომ მისი მეუღლის ადვოკატი, ს. ბ.-ი ნამდვილად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას მის ადვოკატს - დ. ტ.-ს. კერძოდ, თებერვლის თვეში ს. ბ.-თან მის მიერვე შერჩეულ ადგილას, ქ. ქუთაისში კაფებარ ,,გარდენიე"-ში შეხვედრისას ადვოკატმა ს. ბ.-მა ადვოკატ დ. ტ.-ს შემდეგი სიტყვებით მიმართა: ,,არაკომპეტენტური", ,,ავადმყოფი", ,,ქართულის არმცოდნე", ამასთან მთელი შეხვედრის განმავლობაში აგრესიული იყო.

2.2 2016 წლის 12 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმემ განმარტა, რომ ადვოკატ დ. ტ.-სთან ერთად იმყოფებოდა ადვოკატ ს. ბ.-თან შეხვედრაზე ქალაქ ქუთაისში მდებარე ერთ-ერთ

კაფეში. ადვოკატმა ს. ბ.-მა დაიწყო საუბარი და ვ. ჩ.-ს მიმართა შემდეგი ფრაზით: "მოხვედი შე სოფლელო?".

2.3 მოწმის განცხადებით, იგი ადვოკატ ს. ბ.-ს 2015 წლიდან იცნობს, როდესაც ადვოკატი ვ. ჩ.-ის და მისი მეუღლის ურთიერთობაში უხეშად ჩაერია, ოჯახშიც მიაკითხა და "თქვე ავადმყოფებო" ეძახა.

2.4 შეხვედრისას ადვოკატმა დ. ტ.-მ ადვოკატ ს. ბ.-ს მიმართა, რომ ვ. ჩ.-ის ოჯახს ბავშვების ნახვა სურდა და იქნებ ს. ბ.-ის კლიენტს გარკვეული პერიოდით მიეცა ყოფილი მეუღლისთვისბავშვების წაყვანის უფლება. ადვოკატმა დაურეკა ვ. ჩ.-ის მეუღლეს, რომელმაც ბავშვების გაშვებაზე უარი თქვა. შემდეგ ადვოკატმა ს. ბ.-მა ატეხა ისტერიკული ყვირილი და გაიძახოდა: "მომისმინე, მომისმინე". ადვოკატმა დ. ტ.-მ ადვოკატ ს. ბ.-ს უთხრა, რომ იქნებ ოჯახი არ დანგრეულიყო და მეუღლეები შერიგებულიყვნენ, რაზეც ადვოკატმა ს. ბ.-მა დაიწყო ყვირილი და ძახილი იმისა, რომ ადვოკატი დ. ტ. იყო არაკომპეტენტური ადვოკატი, სოფლელი, მეგრელი და მეგრულად ლაპარაკობდა. როდესაც ადვოკატმა დ. ტ.-მ ადვოკატ ს. ბ.-ს უთხრა, რომ მის კლიენტს სახლიდან ოქროულობა ჰქონდა მოპარული, ამაზე ადვოკატმა ს. ბ.-მა განაცხადა: "თქვენ ავადმყოფები ხართ, რა დროს ოქროულობაა.." ადვოკატი დ. ტ. ადვოკატ ს. ბ.-ს მუდმივად აწყნარებდა, ხოლო ს. ბ.-ი ხმამაღლა ყვიროდა.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ს. ბ.-მა 2017 წლის 26 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მას 2017 წლის თებერვალში დაუკავშირდა ადვოკატი დ. ტ. და სთხოვა შეხვედრა. ადვოკატმა დ. ტ.-მ აცნობა, რომ იგი იყო ვ. ჩ.-ის უფლებების დამცველი და სჭირდებოდა ადვოკატ ს. ბ.-ის დახმარება ვინაიდან, ს. ბ.-ი იცავდა ვ. ჩ.-ის მეუღლის მ. ბ.-ის ინტერესებს. ადვოკატმა ს. ბ.-მა განუმარტა ადვოკატ დ. ტ.-ს, რომ ის მ. ბ.-ის ინტერესებს არ იცავდა, არ ჰქონდა მასთან დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და არც მინდობილობა ჰქონდა გაფორმებული. მ. ბ.-ისთვის კონსულტაციის გაწევა ადვოკატ ს. ბ.-ს სთხოვა მისმა ნაცნობმა. ამასთან 2 წლის წინაც მიმდინარეობდა დავა ძალადობის ფაქტზე მ. ბ.-ს და ვ. ჩ.-ს შორის, მაშინაც ადვოკატი მ. ბ.-ს მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაციებით ეხმარებოდა.

3.2 ადვოკატ ს. ბ.-ის განმარტებით, ადვოკატ დ. ტ.-ს და ვ. ჩ.-ს სჭირდებოდა მისი დახმარება რომ მოსალაპარაკებლად მისულიყვნენ მ. ბ.-სთან და ასევე ვ. ჩ.-ს მოენახულებინა შვილები, რადგან მ. ბ. ამის წინააღმდეგი იყო.

3.3 ადვოკატის განცხადებით, ადვოკატ დ. ტ.-ს და მის კლიენტ ვ. ჩ.-ს შეხვდა თავისი ოჯახის საკუთრებაში არსებულ ბარ-რესტორან "----". შეხვედრისთანავე ადვოკატი დ. ტ. მის მიმართ განეწყო აგრესიულად. ადვოკატმა დ. ტ.-მ მკაცრი ტონით განაცხადა, რომ თუ მ. ბ. არ დააბრუნებდა ოქროულობას, რომელიც სახლიდან წაიღო, მას ციხეში გაუშვებდა. ადვოკატმა ს. ბ.-მა განუმარტა ადვოკატ დ. ტ.-ს, რომ დავა სისხლის სამართლის კატეგორიის არ იყო და ამ საკითხზე შეეძლო სამოქალაქო წესით ედავა. ადვოკატ დ. ტ.-ს არ მოეწონა ეს პასუხი და დაიწყო ადვოკატ ს. ბ.-ის ლანძღვა, ასევე შეურაცხმყოფელი სიტყვებით იხსენიებდა მ. ბ.-ს. ადვოკატი დ. ტ. იმდენად აგრესიულად იქცეოდა, რომ ბარში მყოფი თანამშრომლების შეშფოთება გამოიწვია. ადვოკატმა ს. ბ.-მა განუმარტა მას, რომ მისი ქმედებები ბარში დაყენებული ვიდეოკამერით ფიქსირდებოდა, რის შემდეგაც ადვოკატი დ. ტ. გარეთ გავიდა ტელეფონზე სასაუბროდ. ვ. ჩ.-მა ადვოკატ ს. ბ.-ს უთხრა რომ ყურადღება არ მიექცია თავისი

ადვოკატისთვის და შვილების სანახავად დახმარება სთხოვა. ადვოკატი ს. ბ.-ი დაეხმარა ვ. ჩ.-ს და მ. ბ.-ს სთხოვა შვილები ეჩვენებინა მამისთვის. ბარიდან გასვლისას ადვოკატმა დ. ტ.-მ ბოდიში მოიხადა გამოხატული ემოციების გამო.

3.4 ადვოკატის განცხადებით, მას დაუკავშირდა მ. ბ. და უთხრა, რომ აღარასდროს შეხვდებოდა ადვოკატ დ. ტ.-ს, რადგან როდესაც ის და ვ. ჩ. ბავშვების სანახავად მივიდნენ, თან მიიტანეს არაყი და მ. ბ.-ს დალევა შესთავაზეს. ამის შემდეგ, ერთი კვირის მანძილზე ადვოკატ ს. ბ.-ს ურეკავდა ადვოკატი დ. ტ. და სთხოვდა მ. ბ.-ს დაებრუნებინა ოქროული, რომელიც სახლიდან წაიღო. ადვოკატმა განუმარტა, რომ იგი არ იყო ამ მოთხოვნის ადრესატი და ადვოკატ დ. ტ.-ს შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა.

3.5 ადვოკატის განმარტებით, მ. ბ.-მ მიმართა ძალადობის მსხვერპლთა დამხმარე ორგანიზაციას და იქ შეაფარა თავი. ამის შემდეგ იმ ორგანიზაციის იურისტები უწევენ მას დახმარებას. იქიდან გამომდინარე, რომ ვ. ჩ.-მა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დ. ტ.-მ ვერ შეძლეს გაეუქმებინათ შემაკავებელი ორდერი, რომელიც ვ. ჩ.-ის მიმართ არსებობდა, მათ ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ გაუჩნდათ აგრესია, რადგან ჩათვალეს, რომ ადვოკატი ს. ბ.-ი უწევდა იურიდიულ დახმარებას მ. ბ.-ს.

3.6 ადვოკატი ს. ბ.-ი განმარტავს, რომ მას არანაირი სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია ადვოკატ დ. ტ.-სთვის და არც აგრესია გამოუვლენია მის მიმართ, პირიქით ადვოკატმა დ. ტ.-მ მიაყენა მას და მ. ბ.-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

3.7 ადვოკატი ს. ბ.-ი 2017 წლის 08 აგვისტოს გამოიკითხა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე სადაც მან მხარი დაუჭირა ეთიკის კომისიაში გამოგზავნილ თავის ახსნა-განმარტებას.

4. მოწმე დავით აბულაძის პოზიცია

დავით აბულაძის წერილობითი განმარტების თანახმად, იგი მუშაობს ბარ-რესტორან ---- მენეჯერის პოზიციაზე. 2017 წლის თებერვალში ადვოკატ ს. ბ.-თან მოვიდა ადვოკატი დ. ტ. და მისი კლიენტი ვ. ჩ.. ადვოკატი დ. ტ. ბარში შემოსვლისთანავე აგრესიულად განეწყო ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას შემდეგი ფრაზებით: "უზრდელი ქალი ხარ, სოფლიდან ჩამოთრეული." ბარში მომუშავე პერსონალმა დახმარება შესთავაზა ადვოკატ ს. ბ.-ს, თუმცა მან თავად მოახერხა სიტუაციის განმუხტვა. ადვოკატმა დ. ტ.-მ წასვლის წინ ბოდიში მოუხადა ადვოკატ ს. ბ.-ს.

II სამოტივაციო ნაწილი

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი ს. ბ.-ი არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

5.2 ადვიკატმა დ. ტ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 03 აპრილს.

5.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის თებერვალში. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

6. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. **სამართლებრივი შეფასება:**

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მოსალაპარაკებლად შეხვედრისას ადვოკატი ს. ბ.-ი განწყობილი იყო აგრესიულად, მან ადვოკატ დ. ტ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და არაერთხელ უწოდა მას "არაკომპეტენტური", "ავადმყოფი", ასევე უთხრა, რომ ქართული არ ესმის ქართული, ქართული არ იცის და მეგრულად ლაპარაკობს.

7.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ს. ბ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

7.2.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“

7.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“

7.3 ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობას და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.

7.4 კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №100/12 განმარტა, რომ ,,საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა.“

7.5 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ 2017 წლის თებერვალში ქალაქ ქუთაისში ბარ-რესტორან "----" ადვოკატი დ. ტ. და მისი კლიენტი ვ. ჩ. ადვოკატ ს. ბ.-ს როგორც, ვ. ჩ.-ის მეუღლის მ. ბ.-ის ინტერესების დამცველს, შეხვდნენ ვ. ჩ.-სა და მ. ბ.-ს შორის არსებული დავის გარემოებებზე ინფორმაციის გაცვლის მიზნით. როგორც საჩივრის ავტორი განმარტავს, ადვოკატი ს. ბ.-ი მის მიმართ თავიდანვე აგრესიულად იყო განწყობილი და შეხვედრის დროს მოლაპარაკების განმავლობაში ადვოკატმა ს. ბ.-მა ადვოკატ დ. ტ.-ს არაერთხელ უწოდა საჩივრის ავტორის შეფასებით შემდეგი შეურაცხმყოფელი სიტყვები: "არაკომპეტენტური", "ავადმყოფი", ასევე უთხრა, რომ არ ესმოდა ქართული, მან ქართული არ იცოდა და მეგრულად ლაპარაკობდა. ადვოკატი ს. ბ.-ი უარყოფს მის მიერ

კოლეგის სიტყვიერ შეურაცხყოფას და პირიქით განმარტავს, რომ ადვოკატმა დ. ტ.-მ თავად მიაყენა მას და მის კლიენტს, მ. ბ.-ს, სიტყვიერი შეურაცხყოფა.

7.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის შესაბამისად, ,,დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე. ამავე დებულების მე-17 მუხლის მიხედვით, მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები. თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები“.

7.7 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ადვოკატ დ. ტ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ს. ბ.-მა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა ს. ბ.-მა. ეთიკის კომისიაში მხარეს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება აქვს საჩივრის წარდგენისას და საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების ნებისმიერ დროს, სანამ საპროცესო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად, საჩივრის ავტორს ჰქონდა გონივრული ვადა იმისთვის, რომ საჩივარში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების დასამტკიცებლად კომისიისთვის წარედგინა მტკიცებულებები.

7.8 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი და მოპასუხე ადვოკატი ქალაქ ქუთაისში ბარ-რესტორან "----" შეხვედრას და შეხვედრის მონაწილეთა ქცევებს განსხვავებულად აღწერენ. ადვოკატ ს. ბ.-ის მიერ ადვოკატ დ. ტ.-ს მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზების, კერძოდ: ,,არაკომპეტენტური“, ,,ავადმყოფი“, ასევე ფრაზების, რომ ადვოკატ დ. ტ.-ს ქართული არ ესმის, მან ქართული არ იცის და მეგრულად ლაპარაკობს, წოდების ფაქტს გარდა საჩივრისა, ადასტურებს საჩივრის ავტორის კლიენტი ვ. ჩ., რომელიც ესწრებოდა ადვოკატების შეხვედრას და მოლაპარაკების პროცესს. ადვოკატი ს. ბ.-ი უარყოფს ასეთი სიტყვების და ფრაზების მის მიერ გამოთქმის ფაქტს და უთითებს, რომ ადვოკატმა დ. ტ.-მ მიაყენა მას და მის კლიენტ მ. ბ.-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნულ პოზიციას ადასტურებს მოწმე დავით აბულაძე, რომელიც ასევე ესწრებოდა მხარეთა შეხვედრას.

7.9 ეთიკის კომისია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებას №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს

სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე“. ადვოკატის მიერ კოლეგისადმი უპატივცემულოდ მოპყრობა წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და და მე-10 მუხლების მაკვალიფიცირებელ მთავარ ელემენტს. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის სამართლებრივი თავისებურებიდან გამომდინარე, და იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებული ორი მოწმის ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგოა, ფაქტის დასადგენად საკმარისი არ არის მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ს. ბ.-ის მიერ ადვოკატ დ. ტ.-სთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, აუცილებელია, რომ დადასტურდეს მტკიცებულებებით, რომელებიც მოწმის ჩვენებასთან ერთობლივად მიუთითებენ საჩივარში წარმოდგენილ გარემოებებზე. მოწმეთა ჩვენებასთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებს სადავო ფაქტს, ამ შემთხვევაში სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას. საჩივრის ავტორმა საჩივრის და მოწმის ჩვენების გარდა ეთიკის კომისიაში არ წამოადგინა სხვა რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა საჩივარში აღწერილ მნიშვნელოვან გარემოებებზე. ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ადვოკატ ს. ბ.-ის პოზიციას მხარს უჭერს მოწმე დავით აბულაძე. შესაბამისად ეთიკის კომისია, მხოლოდ მოწმის, ვ. ჩ.-ის ჩვენებაზე დაყრდნობით დადასტურებულად ვერ მიიჩნევს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ ფაქტებს.

7.10 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა ს. ბ.-მა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. საპროცესო კოლეგიის დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, საჩივრის ავტორს მოწმის ჩვენებასთან ერთად არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატ ს. ბ.-ის მიერ მიერ მისი სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლით, მე-10 მუხლის პირველი ნაწილით; ,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №027/17 ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ, /სიითი #/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/